

საქართველოს ზოგიერთი მთიანი რეგიონის ეთნო-ფიტოეკოლოგიური
საკითხების შედარებითი ანალიზი

ქეთევან კვიციანი

*სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტზე ეკოლოგიის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ეკოლოგიის პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელები: ოთარ აბდალაძე, პროფესორი; ქეთევან ზაცაცაშვილი,
ასოცირებული პროფესორი;

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ქეთევან კვიციანი, 2024

აბსტრაქტი

ეთნობოტანიკური ცოდნა არის მდიდარი და ფასდაუდებელი კულტურული ღირებულება, რომელსაც მრავალი საფრთხე ემუქრება. მისი დაკარგვის მიზეზებს შორის შეიძლება დასახელდეს ურბანიზაცია, ცოდნის დოკუმენტირების ნაკლებობა, ჰაბიტატების დეგრადაცია, კლიმატის ცვლილება, ადგილობრივი ენის დაკარგვა და სხვ. წინამდებარე კვლევა ახდენს თანამედროვე ეთნობოტანიკური ცოდნის დოკუმენტირებას საქართველოს 3 მთიან რეგიონში და ადგილობრივი მოსახლეობის ცოდნასა და დაკვირვებას იყენებს მცენარეთა სახეობების რაოდენობისა და კლიმატის შესაძლო ცვლილების შესაფასებლად. კვლევა საქართველოში პირველად ეთნობოტანიკურ საკითხებს აკავშირებს ეკოლოგიურ ფაქტორებთან და მიზნად ისახავს მცენარეთა სახეობების, როგორც გლობალური ცვლილებების ბიოინდიკატორების გამოვლენას. მისი მიზანია ტრადიციულად გამოყენებული ველური მცენარეების იდენტიფიკაცია და რეგიონების მიხედვით მათი შედარებითი ანალიზი. ნაშრომი იკვლევს ბუნებრივი მცენარეული რესურსის გამოყენების ფორმებს, ავლენს საფრთხეში მყოფ ჰაბიტატებსა და სახეობებს, ასევე ცდილობს დაადგინოს, სად და რა დოზით არის შემორჩენილი ტრადიციული ცოდნა, სად არის მისი კარგვის საშიშროება. ამ ამოცანების შესასრულებლად, ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარის საშუალებით, კვლევის რეგიონებში შეგროვდა მონაცემები და გაანალიზდა ორი - კულტურული მნიშვნელობის და სორენსენ-დაისის ინდექსების საშუალებით. მონაცემები სტატისტიკურად დამუშავდა კრუსკალ-უალისის არაპარამეტრული ტესტის, დისკრიმინანტული ანალიზისა და პირსონის კორელაციის საშუალებით პროგრამაში SPSS. კვლევის შედეგად გამოირკვა, რომ ლაგოდები ყველაზე ნაკლებად არის დამოკიდებული ბუნებრივ მცენარეულ რესურსზე, ყველაზე მეტი მცენარე კი სვანეთში გამოიყენება. აღმოჩნდა, რომ მცენარეული რესურსის მოხმარების მხრივ, ყველაზე მეტად დატვირთული ჰაბიტატებია ტყე და მდელო და გამოვლინდა საფრთხეში მყოფი კონკრეტული სახეობები. კვლევის

შედეგად აღიწერა მცენარეთა 5 ახალი ადგილობრივი სახელწოდება, რომელიც აქამდე არ ყოფილა დაფიქსირებული სპეციალურ ბოტანიკურ ლიტერატურაში. მონაცემების დამუშავების შედეგად, გამოითქვა ვარაუდი, რომ ტრადიციული ცოდნა ნელ-ნელა იკარგება და საჭირო ხდება მისი დაცვა და შენარჩუნება. კვლევის ფარგლებში აღიწერა ადგილობრივი მოსახლეობის დაკვირვება კლიმატის ცვლილებაზე და მის შედეგებზე. როგორც უმრავლესობა აღნიშნავს, კვლევის რეგიონებში კლიმატი უკნასკნელი 5-10 წ-ის განმავლობაში საგრძნობლად შეიცვალა, თუმცა ამას მცენარეთა რაოდენობის ცვლილებაზე მნიშვნელოვანი გავლენა ჯერჯერობით არ ჰქონია. წინამდებარე კვლევა წარმოადგენს საქართველოში ჩატარებულ პირველ ეთნო-ფიტოეკოლოგიურ ნაშრომს, რომლის შედეგებიც ადასტურებს მსგავსი კვლევების მნიშვნელობას თანამედროვე გლობალური ცვლილებების ფონზე.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ეთნობოტანიკა, ეკოლოგია, შედარებითი ანალიზი, ტრადიციული ცოდნა, ველური მცენარეების გამოყენება, ბიოინდიკატორი, გლობალური ცვლილება

Abstract

Ethnobotanical knowledge is a rich and invaluable cultural value that faces many threats. Among the causes of its loss can be named urbanization, lack of documentation, habitat degradation, climate change, loss of local languages, and others. The present study documents contemporary ethnobotanical knowledge in three highland regions of Georgia, using the knowledge and observations of local people to assess changing the number of wild plant species and the impact of climate change. For the first time in Georgia, this study links ethnobotanical issues with ecological factors and aims to identify plant species as bioindicators of global changes. Its goal is to identify traditionally used wild plants and compare them by region. The study explores the use forms of natural plant resources, reveals endangered habitats and species, and also attempts to determine where and to what extent traditional knowledge is preserved. To accomplish these tasks, data were

collected in the study regions using a semi-structured questionnaire and analyzed through two indices: Cultural Importance and Sorensen-Dice. The data were statistically processed using the Kruskal-Wallis non-parametric test, discriminant analysis, and Pearson correlation with the SPSS software. The study found that Lagodekhi is the least dependent on natural plant resources, while the most plants are used in Svaneti. It was found that in terms of plant resource consumption, the most heavily utilized habitats are forests and meadows, and specific endangered species were identified. As a result of the study, five new local names of plants were described that had not previously been recorded in botanical literature. The data processing suggested that traditional knowledge is gradually being lost and that its protection and preservation are necessary. The study also described the local population's observations of climate change and its consequences. As most informants noted, the climate in the study regions has significantly changed over the last 5-10 years, although this has not yet had a significant impact on the frequency of plant species.

The present study represents the first ethno-phytoecological work conducted in Georgia, whose results confirm the importance of such studies in the context of contemporary global changes.

Key Words: Ethnobotany, Ecology, Comparative analysis, Traditional knowledge, Wild plants use, Bioindicator, Global change

მადლობა

მადლობას ვუხდით ჩემს ხელმძღვანელებს, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებისთვის. აგრეთვე, ყველა იმ ადამიანს, ვინც მონაწილეობა მიიღო კვლევაში.